ერთი მატჩის მოსავალი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 22 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “ნეფთჩი” (ბაქო) 4:1 (1:1).

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, გ. მაჩაიძე (დარასელია), მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია.

“ნეფთჩი”: რომენსკი, ორუჯევი, კულამოვი, უზბეკოვი, ნამაზოვი, ტ. აბასოვი, ჯავადოვი, ალიევი, ბანიშევსკი (ე. აბასოვი), ყურბანოვი, სმოლნიკოვი.

მსაჯი: მ. კუსენი (ლვოვი).

დუბლიორები – 4:2.

უნგრელ ფეხბურთელთა 2–მატჩიანი სერიის შემდეგ თბილისის სტადიონზე კვლავ საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული თამაში დადგა “დღის წესრიგში”. რა დასამალია: რაც უნდა საპასუხისმგებლო და დიდმნიშვნელოვანი იყოს ყველა სხვა მოვლენა, რა მასშტაბიც უნდა ჰქონდეს მას, გულშემატკივარი ჩემპიონატის მატჩს მუდამ საგანგებო ყურადღებით ეკიდება. ამ შემთხვევაში მას თვალწინ გათამაშების ცხრილი აქვს, ამდენად, წმინდა მატერიალისტურ ინტერესსაც იჩენს, და, ამას გარდა, ჩემპიონატის მატჩებსაც მუდამ გარკვეული სპეციფიკურობა ახლავს თან.

მაგრამ თბილისის “დინამოს” ძირითადი შემადგენლობის თავმოყრა ერთ რომელიმე მატჩში ამ ბოლო ხანებში რაღაც გადაუჭრელ პრობლემად იქცა. ვერ იქნა და ვერ მოხერხდა, რომ გუნდის თერთმეტივე ძირითადი მოთამაშე ადგილზე იყოს. მიზეზები არ ილევა, გუნდის მწვრთნელებს კი განუწყვეტლივ უხდებათ დანაკლისის იძულებითი შევსება სათადარიგო სკამიდან. შეხვედრა “ნეფთჩისთან” ამ მხრივ იღბლიანი გამონაკლისი არ იყო.

მატჩმა სოლიდური მოსავალი მოუტანა მასპინძლებს: ჯერ ერთი, 2 ქულა, მეორე – ბალი დიდი ანგარიშით გამარჯვებისთვის და მესამეც – ბალი “გამარჯვებისადმი სწრაფვის” პრიზის მოსაპოვებლად, ერთ მატჩში ეს მაქსიმალური დივიდენდია და ჩვენც ყოველმხრივ კმაყოფილი უნდა ვიყოთ ჩვენი გუნდისა, თუმცა თამაშის მსვლელობაში იყო პერიოდული მარცხის, ინერტულობის პერიოდებიც, როცა ბაქოელები ახერხებდნენ ძლიერი კონტრთამაშის შექმნას, დინამოელთა შორის თავს იჩენდა შეუთანხმებლობა, ნაჩქარეობა და, აქედან გამომდინარე, სერიოზული ხასიათის შეცდომებიც. პრეტენზია უმთავრესად დაცვას ეხება.

მაგალითად, ჩვენს გუნდში ახალი საინტერესო წყვილის ურთიერთმოქმედება შეიმჩნევა ყიფიანი–კოსტავას სახით. შეტევის დასაწყისს ფაზაში კოსტავა იწყებს მოულოდნელ რეიდს ფლანგზე და მოწინააღმდეგის ნახევარზე გადასული ღებულობს ყიფიანის შესანიშნავ გადაცემას, რაც შემდგომში სხვადასხვა ვარიაციით შეიძლება განვითარდეს. ეს საინტერესო კომბინაციაა და მომავლისთვის ალბათ კიდევ უფრო დაიხვეწება, მაგრამ იგივე კოსტავა დაცვაში საჭირო სიზუსტით ვერ მოქმედებდა, რის გამოც ჯავადოვს რამდენიმეჯერ მიეცა უაღრესად სახიფათო მომენტის შექმნის შესაძლებლობა.

ან შეიძლება ზოგიერთს ბანიშევსკის მინდორზე გამოჩენა სამუზეუმო ექსპოზიცია ეგონა და უყურადღებოდ მოექცა მას, 31 წლის ვეტერანმა კი თავისი საქმე გააკეთა და შეასრულა რეიდი, რომელმაც პენალტი მოუტანა მის გუნდს.

პირველი ხუთიოდე წუთის რამდენიმე გამწვავების შემდეგ დინამოელებმა მოუკლეს ტემპს და ამით “ნეფთჩის” საშუალება მისცეს გაემაგრებინა შუა მინდვრის ხაზი. ამას მოჰყვა ბანიშევსკის ზემოხსენებული გარღვევა 25–ე წუთზე და ხიზანიშვილმა გაუფრთხილებლად წააქცია იგი, თუმცა არა გვგონია, რომ ამ მომენტში ამისი გადაუდებელი საჭიროება არსებობდა. პენალტი ზუსტად გამოიყენა ტ. აბასოვმა.

მასპინძლები დიდხანს არ დარჩენილან წაგებულთა როლში: 29–ე წუთზე რომენსკი და უზბეკოვი შეცდნენ, ბურთზე კონტროლი დაკარგეს და ყიფიანმა მაშინვე ისარგებლა მათი შეუთანხმებლობით – 1:1.

ყველაფერი დანარჩენი მოხდა მეორე ტაიმში. ჯერ 61–ე წუთზე, თავისი მაღალი კლასი აჩვენა ყიფიანმა, რომელმაც საკუთრივ ჩაიგდო ბურთი შუა მინდორში, რამდენიმე ბაქოელს შორის გავიდა დრიბლინგით და მერე კლასიკური სიზუსტით დაარტყა კარში – 2:1.

ეს უკვე გარდატეხის თავისებური სიგნალი იყო. თბილისელებმა შეძლეს საჭირო კონტაქტების დამყარება იერიშის დროს, 69–ე წუთზე შენგელიამ კარგად გამოიყენა კოპალეიშვილის მიერ მიწოდებული საჯარიმო. მატჩის დასასრულს კი ჩელებაძე–შენგელია–ჩელებაძის კომბინაცია ამ უკანასკნელმა დაამთავრა მეოთხე გოლით.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 24 მაისი, 1977 წ.